

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 5 9 1

ქ. ბათუმი, 05 ივლისი 2016 წ

**„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით
გათვალისწინებული ვალდებულების მერიის
მოხელეებისათვის დაკისრების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტისა და „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 04.06.2016, სარეგისტრაციო კოდი: 040200010.05.001.018126) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის (მერის მიერ უფლებამოსილი პირისათვის) „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა დაევალოს (დაეკისროს) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს (მხოლოდ მათ-მათ სამოქმედო ტერიტორიაზე).

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებმა ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისას დაიცვან „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესი“-თა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები.

3. წინამდებარე ბრძანება გადაეგზავნოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბათუმის სამსახურს.

4. ბძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბაგრატ მანველიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ